№ 66
შაბათი, 5 აპრილი 1897 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877—1897

# ივერია

№ 66
შაბათი, 5 აპრილი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**სოფიო ირაკლის ასული და ლუარსაბ ირაკლის ძე ციციშვილები** აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცის წირვა და პანაშვიდი თავიანთის საყვარლის დედის **ელისაბედ ქაიხოსროს ასულის ციციშვილისა** დანიშნულია ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში კვირას, 6 აპრილს 12 საათზე.

## „ივერია"

გამოვა 1897 წელს
იმავე პროგრამმით, როგორც წინად.
ფასი გაზეთისა:

| | მ. | კ. | | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით და 13 დღით | 9 | 60 | 6 „ | 6 | „ |
| 11 „ | 9 | 50 | 5 „ | 5 | 50 |
| 10 „ | 8 | 75 | 4 „ | 4 | 75 |
| 9 „ | 8 | „ | 3 „ | 3 | 50 |
| 8 „ | 7 | 25 | 2 „ | 2 | 75 |
| 7 „ | 6 | 50 | 1 „ | 1 | 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ეღირება 17 მ.
ტფილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Редакція „Иверія".

ტფილისში ხელის-მოწერა მიიღება „ივერიის" რედაქციაში, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21 ბ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სადმე ქალაქს გარედვე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

**1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.**

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხის თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.

ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით იმათშეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

## ახალი ამბავი

—

*** 3 აპრილს, დილის 7 საათზედ, მთავარ-მართებელმა დაიარა და დაათვალიერა ქალაქის მე-6 და მე-7 საპოლიციო ნაწილები.

*** როგორც ქალაქის გამგეობის ანგარიშიდგანა სჩანს, წარსულის წლის განმავლობაში ქალაქს შემოსავალი ჰქონია სულ 1,165,513 მან. და 43 კაპ., ე. ი. 1896 წლის ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვით მოლოდინზედ 33,543 მან. 7 კაპ. ნაკლები, ხოლო 1895 წელთან შედარებით-კი—63691 მან. და 21 კ. მეტი.

*** გუშინ, 4 აპრილს, ქალაქის სამკურნალოს დაარსების დღეს, ამ სამკურნალოში პანაშვიდი იქმნა გარდახდილი განსვენებულ ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე ნიკოლოოზის ძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელი ა. ა. ივანენკო, ქალაქის საბჭოს ხმოსნები, ქალაქის ექიმები და სხვანი.

*** კავკასიის სამკურნალო საზოგადოების წლის თავის კრება დანიშნულია 6 აპრილისათვის. კრებაზე მიწვეულნი არიან კავკასიის მთავარ-მართებელი, მისი თანაშემწე, საქართველოს ექსარხოსი და მრავალნი სხვანი.

*** ტფილისის პირუტყვთა-მფარველი საზოგადოება გუშინ დაეკითხა ქალაქის გამგეობას, როდის შეგვეკვრებით პირობით ქალაქის მაწანწალა ძ ღლების გაწყვეტის საქმის შესახებაო და მასთან სთხოვა უფასოდ ალაგი დაგვითმეთ ძაღლების თავშესაფარის დასაარსებლადაო.

*** 3 აპრილს ახალქალაქის პოლიციის ბოქაულის თანაშემწემ თავ. ჯავახიშვილმა ტფილისში შეიპყრო ახალქალაქის მცხოვრებელი ბაგრატ მარაშლოვი, რომელსაც იქ გაუძარცვავს თავ. ფალავანდიშვილის სახლი და გამოქცეულა. მარაშლოვს ტფილისის პოლიცია ამ დღეებში ახალქალაქს გაჰგზავნის.

*** სამხედრო ტაძრის აშენება ხაზინას 450,000 მან. დასჯდომია.

*** მიწად-მოქმედების სამინისტროს კავკასიის რწმუნებულის განკარგულებისამებრ სააბრეშუმო სადგურთან მუშტაიდში დაარსებულია მუზეუმი აბრეშუმეულობისა და მეფუტკრეობისა. მსურველს შეუძლიან ჰნახოს და დაათვალიეროს მუზეუმი ყოველ დღე და შესაფერი ახსნა-განმარტება მოისმინოს. მუზეუმი ღიაა დილით $12^1/_2$—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირაობით 1—2 საათამდე და სხვა უქმე დღეებში-კი დაკეტილი იქნება.

*** ტფილისის პოლიციამ ნამდვილად შეიტყო, რომ ყარსის რკინის გზაზე ჰმუშაობდა თურმე ფილიპე ერაძე, რომელიც ციმბირიდგან ყოფილა გამოქცეული. ერაძე ამ ჟამად დაპატიმრებულია.

*** ორშაბათს, 7 აპრილს, ქალაქის საბჭოს კრებამ უნდა განიხილოს საგანი ამა საბჭოს „ცნობათა" გამოცემის შესახებ. ეს გამოცემა წლიურად ეღირება 5 მან. და გამოვა თვეში ორჯელ 4 ნაბეჭდ თაბახის ოდენა. ტფილისის ქალაქის მართვა-გამგეობის ცნობების გარდა ამ ცნობებში დაიბეჭდება სხვა ქალაქების შესახები ცნობებიც, მთავრობის განკარგულებანი და სხვ. ამავე კრებაზედ საბჭო განიხილავს საფრანგეთის საყასბოების აღმშენებელ საზოგადოების პროექს ტფილისის საყასბოს აშენების შესახებ.

*** მთაწმიდის ქედზედ ასასვლელს ბილიკს აფართოვებენ და ამ საქმეში სახელმწიფო ქონებათა მართველობა დიდს მონაწილეობას ღებულობს. ახლოს ხანში მთაწმინდის ეკლესიიდგან აღნიშნულს ქედზედ გასეირნება მსურველთ დაუბრკოლებლივ შეეძლებათ.

*** სახელმწიფო რკინის გზათა სამმართველომ კავკასიის რკინის გზის გამგეობას აცნობა, რომ ამ გზის მოსამსახურეთა საჩუქრად 69,000 მან. ტფილისის გუბერნიის ხაზინიდგან მიიღებთ, რომელსაც დეპეშით ვაცნობეთო.

*** კავკასიის რკინის გზაზედ მატარებელთა მიმოსვლა ახალ წეს-რიგით 6 მაისიდგან დაიწყება.

*** ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ რკინის გზის მმართველობამ ტფილისში სადგური უნდა გამართოსო. როგორც „კავკაზს" გაუგია, ეს სადგური ერევნის მოედანზედ იქმნება გამართული, ქალაქის საურთიერთო ნდობის საზოგადოების (ტერ-ასატუროვის ყოფილის) სახლში და რკინის გზის მმართველობას ხსენებულ საზოგადოების გამგეობასთან მოლაპარაკება აქვსო.

*** ქალაქის საბჭოს, მომავალ კვირიდგან დაწყებული ამაღლებამდე, ნება მიუცია ყასბებისათვის ბატკნები ჰხოცონ თავ. მუხრანსკის ბორანთან და ყოველ დაკვლის შემდეგ ის ადგილები დეზინფექციით გაასუფთაონ ხოლმე.

*** ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს სოფ. ახმეტის (თიანეთის მაზრაშია) მცხოვრებთათვის ნება დაურთავს,—თავისის საზოგადო. ბეღლიდგან პური იყიდონ. ხვედრი ფულის შეტანის ვადა ამა წლის 1-ლ ოქტომბრამდის აქვთ.

3 აპრილს, დილის 8 საათზედ, კავკასიის რკინის გზის უფროსი ბ-ნი ვედენეევი, ინჟენრები ბ-ნ ოკორონკო და პშენეცკი ტფილისიდგან ბაქოსაკენ გაემგზავრენ. ამ მოგზაურობის საგანი არის სასანიტარო მხრივ დაათვალიერონ გზის ლიანდაგი.

*** ჩვენ მივიღეთ ფრანგულიდგან გადმოთარგმნილი საყმაწვილო მოთხრობა: „ზანგი და თეთრი", გამოცემა „ჯეჯილის" რედაქციისა. წიგნაკი საკმაოდ სუფთად არის დაბეჭდილი, შიგ შვიდი სურათია ჩართული, შეიცავს 67 გვერდს და ჰღირს სამი შაური.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისის მოქალაქეთა გამგეობაში მომხდარ უწესოებისა, და აგრეთვე მოქალაქეთა დეპუტატების არჩევანის გამო ტფილისის მოქალაქეთ საჩივარი მიურთმევიათ კავკასიის მთავარ-მართებლისათვის ბ სთხოვენ ამა საქმეთა გამო გამოძიების დანიშვნას და არჩევანების უკანონოდ აღიარებას.

*** ჩვენ მოხსენებული გვქონდა, რომ სოფ. ქვემო ნიქოზში თავ. ზ. ფავლენიშვილს შეიარაღებული ავაზაკები თავს დაესხნენ, დასჭრეს და გაძარცვესო. ამ სამწუხარო ამბისა გამო გორის მაზრის უფროსი თავ. ერისთავი მისულა იმ სოფელში და დაწვრილებითი ცნობები შეუკრებია. ეჭვი ყველას სოფ. დავანის მცხოვრებ თავ. იასონ ფავლენიშვილზედ მიუტანია. ზ. ფავლენიშვილის გაძარცვის წინადღით, საღამოთი, იასონ ფავლენიშვილთან ხუთი შეიარაღებული ოსი მისულა და იმათ შორის გიორგი ბითარაშვილი ყოფილა, რომელსაც მთელ გორის მაზრაში ცუდი კაცის სახელი აქვს თურმე გათქმული. დანარჩენი ოთხი კაცი ვინ იყო, ჯერ არავინ იცის. იმათ საპოვნელად ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ. („კავკ.")

*** ტფილისის ქალაქის სამოსწავლო კომიტეტმა გადასცა ქალაქის საბჭოს განსახილველად მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს პასუხი, რომელშიაც ნათქვამია, რომ თუმცა ქალაქის შუამდგომლობა ტფილისში უმაღლესის სასწავლებლის (პოლიტეხნიკუმის) დაარსების შესახებ ჯერ-ჯერობით არ იქნება შეწყნარებული, სამინისტრომ ქალაქის მკვიდრთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად შესაძლებელად სცნო დაარსებულ იქმნას ტფილისში საშუალო სამეურნეო სასწავლებელი, თუ ქალაქი თავის მხრივ რაიმე დახმარებას აღმოუჩენს მთავრობას ამ საქმეში, სულ ერთია, მამულით იქნება იგი თუ ფულითაო. („ტ. ფ.")

*** ამავე გაზეთს გაუგონია, რომ 22 მაისს ტფილისის გუბერნიის სამმართველოში იჯარით გაიცემა ექვსის წლით მლაშე ტბა სოფ. ნაბარძევისა (გორის მაზ.) გლაუბერის მარილის მოსაპოვებლად. ტბას 50 დესეტინა ალაგი უჭირავსო.

*** როგორც „კავკაზი" გვაუწყებს, კავკასიაში არსდება კარგის ჯიშის ცხენების მოშენების ხელის შემწყობი საზოგადოება. ამ საზოგადოების გამგეობის ვიცე-პრეზიდენტს მიმდინარე აპრილში აირჩევენ.

*** სოფ. ბათაყო (კავკავის მაზრა). ბარის ოსებში ქურდობა-კაცის-კვლის შემცირებას არაფერი ეშველა-რა. თუმცა ყველა სოფელში ჰყავთ დარაჯები, მაგრამ მაინც ბოროტის ქისტებისაგან მოსვენება არა აქვთ. 25 მარტის ღამესაც ერთი კაცი მოჰკლეს სოფ. ბათაყოში. ქურდები შეპარულიყვნენ ერთი ბათაყოველ ოსის ეზოში. დარაჯებმა რომ გაიარეს ამ ეზოსკენ, რაღაც ფეხის ხმა მოესმათ და შებრუნდენ თუ არა ამის გამო ეზოსკენ, შეეხეჩნენ ქურდებს და დაახალეს თოფები ერთმანეთს. სროლაში ქურდებმა ერთი დარაჯთაგანი, გვარად ქადიევი, მოჰკლეს და გაიქცნენ. როგორც დარაჯებმა სთქვეს, ერთი ქურდიც დაჭრილიყო, რადგან სისხლი შეენიშნათ იმ გზაზედ, საითაც ქურდები გაიქცნენ.

*** შორაპანი: 2 აპრილიდგან 500 მუშა კაცი აჯანყდა, შემოერტყა სადგურს და თხოულობდნენ, რომ ჩვენის შრომის ფული მოგვეცითო. ეს მუშები მუშაობდნენ ჭიათურის გზაზედ მე-19 და 20 ვერსზედ. ამ ალაგას სამუშაო რკინის გზის მართველობისგან ნარდადა აქვს აღებული მოიჯარადრე ბიბირშტეინს და კარგა ხანია, რაც მუშებს არ აძლევს ფულს. აქაურმა ბოქაულმა და რკინის გზის როტმისტრმა სტეფანოვმა როგორც იყო სამასი კაცი გაჰფანტეს, შეჰპირდნენ, ყოველს ღონისძიებას ვიხმართ, რომ ამ დღეებში მიიღოთ ფულიო. ორასი კაცი-კი მაინც ვერას გზით ვერ დასძრეს ადგილიდგან, ასე რომ რკინის გზის მართველობა იძულებულ შეიქმნა, ბიბირშტეინის სათავმდებო ფულიდგან მოეკლო 4 აპრილს 400 მან. და ეს ორასი კაცი იმითი დაემშვიდებინა. ამ ფულის მიღების შემდეგ-კი დაიშალნენ, მაგრამ მაინც განაცხადეს, რომ თუ 5 აპრილს არ მოგვცა მოიჯარადრემ ფული სრულად რაც გვერგება, აქედგან ფეხს არ მოვიცვლითო.

—

იმ კონცერტიდგან, რომელიც იყო გამართული 20 თებერვალს ამა

წლისას „ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ, შემოვიდა: დანუმრულის ბილეთების გასყიდვიდგან 936 მან., შესასვლელ ბილეთებისა 130 მან. და შემოწირულობა 60 მან., სულ 1126 მან.

კონცერტის გამართვისათვის დაიხარჯა: ტფილისის კლუბის დარბაზის ქირა 80 მ., მარკები ბილეთებისათვის 49 მ. 60 კ., განცხადება და აფიშები 13 მ. 10 კ., გადატან-გადმოტანა და მომართვა ორის როიალისა 30 მ., მუსიკა და საზანდარი 43 მ., ჯილდო ქ-ნის შანშიევისა და ბ-ნის ი. კარგარეთელისა 40 მ., თაიგულები 10 მ., ბუფეტი 10 მ. და სხვა-და-სხვა 32 მ. 95 კ. სულ 308 მ. 65 კ.

დარჩა წმინდა შემოსავალი 817 მ. 35 კ.

საზოგადოების გამგეობა ულრმესს მადლობას უცხადებს: კონცერტში მონაწილეობის მიღებისათვის—კნ. კ. თ. გურამიშვილისას, კნ. ბ. მ. ამირაჯიბს, კნ. ს. ღ. ხიმშიაშვილს და ბ-ნთ ი. თ. სარაჯიშვილს, ი. მ. მატკოვსკის, ვ. დ. ველიჩკოს და თ. აკაკი წერეთელს; შემოწირულებისათვის—კ. ი. ზუბალაშვილს (25 მ.), მ. ა. გედევანიშვილს (10 მ.) და სხვათა; როიალების თხოვებისათვის ბ-ნთ ლანკოს და სუზანაჯიანს, და უსასყიდლოდ განცხადების დაბეჭდვისათვის „Кавказъ“-ის, „ივერიის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციებს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**გურია.** ბევრი თქმულა და დაწერილა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში გურულების წინ-მსვლელობისა და სწავლა-განათლების შესახებ. დღეს თითქმის ყველასათვის ცხადია და თვალ-საჩინოა, რომ გურულები ფრიად მხნედა ჰკიდებენ ხელს სკოლებისა და ამასთანავე წიგნთ-საცავ-სამკითხველოების დაარსებას. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც წიგნთ-საცავის მნიშვნელობა შეიგნეს და ამ მოკლე ხნის განმავლობაში მთელს ოზურგეთის მაზრაში ათამდის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო დაარსეს. როგორც ვიცი, ამ ხუთის წლის წინად გურიაში ერთი წიგნთ-საცავიც არ მოიპოვებოდა.

1893 წ. ს. აკეთში 22 ქრისტეშობისთვეს მოხდა არა ჩვეულებრივი დღესასწაული. ამ დღეს დაარსდა და აკურთხეს „გურიის სახალხო უფასო წიგნთ-საცავი“. თითქმის მთელის გურიის მკვიდრნი დიდის აღტაცებით და თანაგრძნობით მიეგებნენ ამ ახალს საქმეს. ყველა მიმხვდარი იყო და ჰგრძნობდა, რომ ეს წიგნთ-საცავი ჯერ მეტად ნორჩი იყო და ამის გასაღონიერებლად შეძლებისა დაგვარად, ასე თუ ისე ცოტად შეგნებული კაცები, როგორც ფულად, აგრეთვე წიგნებით შემწეობა-დახმარებას უჩენდნენ. ზემო აღნიშნულ რიცხვიდგან ეს ნორჩი წიგნთ-საცავი ჩააბარეს დღევანდელს მმართველს. ერთის წლის განმავლობაში საქმე კარგად მიდიოდა. მუდმივი და ერთ დროებით ხელის-მომწერლები ბლომად ჰყავდა. ისე თვე არ გავიდოდა, რომ 5—8 ცალი რუსულ-ქართული წიგნი არ შეეძინა. ერთის სიტყვით, წინ-მსვლელობა და წარმატება დღითი-დღე ემჩნეოდა.

1894 წ. რაღაც მანქანებით წიგნთ-საცავს შეფერხება დაეტყო. ზოგიერთ წევრებთაგანმა საწევრო ფულის შემოტანის უარი განაცხადეს. მკითხველთა რიცხვმა თვალ-საჩინოდ იკლო და ნელ-ნელად კიბოსავით წიგნთ-საცავის საქმე უკან-უკან წავიდა. წიგნთ-საცავის საქმის არევ-დარევის მიზეზი, ბატონებო, თქვენის უმორჩილესის მონის აზრით, გახლავთ წიგნთ საცავის დღევანდელი მმართველი. მმართველს წიგნთ-საცავისათვის ისეთი მცველი ვერ უშოვია, რომ განათხოვრებულ და წაღებულ წიგნებს ასე თუ ისე თვალ-ყური ადევნოს. არც იმას აქცევს ბატონი გამგე ყურადღებას, ამ წიგნთ-საცავის წიგნები სად რომელი არის და ვისა აქვს წაღებული. მარტის თვეში შემთხვევით ქ. ქუთაისში გამოვიარე და ტფილისის ქუჩაზე ერთს დუქანში მომიხდა საწვრილმანო საქმისთვის შესვლა. ამ დუქანში ერთი წიგნი ვნახე, გურიის სახალხო წიგნთ-საცავის ბეჭედ-დასმული. გამოვიკითხე და, ჩემდა სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ეს წიგნი დაგირავებული იყო 15 კ. მედუქნემ არ იცოდა, რა გვარი არის ამ წიგნის მომტანი. ასე და ამ რიგად სად რა წიგნია ამ წიგნთ-საცავისა გაბნეულ-დაკარგული, ღმერთმა უწყის! ბ-ნი გამგე-კი ამას ყურადღებას არ აქცევს. ის მხოლოდ აქცევს ყურადღებას ხარჯის დავთრებს, რომ უკანასკნელს ჟამს საზოგადოების წინაშე ზირ ნათლად და ჩირქ-მოუცხებლად გამოვიდეს. იმის შემოსავალ-გასავლის დავთარს რომ თვალი გადაავლოთ, სწორედ მეტად ბევრს გასავალს იპოვით და შენამენს ნივთებს-კი წიგნთ-საცავში ნახევარსაც ვერა ჰნახავთ. დროა, ამ საქმეს ყურადღება მიექცეს და ყოველივე ნათლად და ჭეშმარიტად გამორკვეული საზოგადოებას ეუწყოს.

იქაური

### სასამართლოს მატიანე

პეტერბურგში ერთმა მომრიგებელმა მოსამართლემ შემდეგი ახირებული საჩივარი განიხილა. 38 წლის ქალწულმა ქალმა აგლაია სპირიდონის ასულმა ბანტიკოვამ უჩივლა ერთს მოხელეს ნიკოლოოზ კონდრატიევს, შეურაცხყოფა მომაყენაო. აი საქმის გარემოებაც. კონდრატიევი ქირით იდგა ამალია დოპელ-კიუმელის სახლში. ამ სახლშივე იდგა ზემოხსენებული აგლაია ბანტიკოვაც. კონდრატიევს საფოტოგრაფიო მანქანა ჰქონია და იმავე სახლში მცხოვრებთა სურათები გადიღო, სხვათა შორის ბანტიკოვისაც. ბანტიკოვამ იწყინა, ჩემი სურათი ბაყაყსა ჰგავსო და სამართალში უჩივლა კონდრატიევს. ბანტიკოვას დასაცველად წარსდგა კერძო ვექილი სმარაგდოვი, რომელმაც თან მოიტანა გარდაწყვეტილებანი საკასაციო დეპარტამენტისა, რაც-კი დაუდგენია ამ დეპარტამენტს დაარსების დღიდგან. ბრალდებულმა განაცხადა, ბანტიკოვას წყენა ფიქრადაც არა მქონია და თუ არ დაუშლია, მზადა ვარ ბოდიში მოვიხადოვო. ვექილმა სთქვა, ქ-ნი ბანტიკოვა მხოლოდ იმ პირობით შეურიგდება ბრალდებულს, თუ იგი 100 მან. მომცეს მე, ვითარცა ბრალმდებელის ვექილს და ამის გარდა ხელწერილს, რომ იგი ბანტიკოვას ცოლად შეირთავსო. ბრალდებული არ დასთანხმდა. მომრიგებელმა მოსამართლემ ბრალდებული დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა უფლების ჩამორთმევა... ფოტოგრაფიით ქალების სურათების გადაღებისა იმ დრომდე, ვიდრე ამ ხელობას ზედ-მიწევნით არ შეისწავლისო.

## რუსეთი

პეტერბურგში მცხოვრებ პოლონელ ინტელიგენციას განზრახვა აქვს დააარსოს აქ რუს-პოლონელთა სამეცნიერო სალიტერატურო საზოგადოება, რომელსაც საგნად ექნება კულტურული დაახლოვება ორის ერისა.

— აპრილის ნახევარში პეტერბურგს მოვა საფრანგეთის ცნობილი მწერალი პოლ ბურჟე, რომელიც ეს მეორედ მოდის რუსეთში. ამბობენ, რომ პოლ ბურჟე პეტერბურგში წაიკითხავს ლექციებს ეხლანდელ ფრანგულ რომანის შესახებ.

— პეტერბურგის ფარმაცევტებს განზრახვა აქვთ მთავრობას ნებართვა სთხოვონ, მომავალ შემოდგომას მოსკოვსა და პეტერბურგში გამართონ კრება, რომელიც განიხილავს აფთიაქების საქმეს რუსეთში.

— კოსტრომას საგუბერნიო ერობა სთხოვს მიწად-მოქმედების სამინისტროს 1500 მანათს სასოფლო-სამეურნეო მანქანების საწყობის დასახმარებლად. იგივე საერობო მიჰმართა ფინანსთა სამინისტროსაც და სთხოვა, განკარგულება მოახდინეთ, რომ სახელმწიფო ბანკმა ზემოხსენებულ საწყობს ფული მისცეს ხოლმე სესხადაო.

— ფინანსთა მინისტრმა ნება დართო საზღვარ-გარეთიდგან ხუნაგის საწინააღმდეგო წამლებს ბაჟი არ გადაჰხდესო.

— რუსეთის საბაღოსნო საზოგადოებამ გადასწყვიტა, ყოველ წელიწადს ჯილდოდ აძლიოს ვერცხლის მენდლები იმ მასწავლებლებს, ვინც საზოგადოებას წარუდგენს სკოლის ბაღში მოყვანილ კარგს ხილსა. ამასთანავე მასწავლებელმა უნდა წარადგინოს სკოლასთან გამართულ ბაღ-ვენახის აღწერილობა.

— 1893 წლიდგან პეტერბურგში არსებობს საზოგადოება, რომელსაც საგნადა აქვს დაეხმაროს უმაღლესს სასწავლებლებში მოსწავლე ქალებს. ამ ჟამად საზოგადოება აარსებს კანტორას, რომელიც დაეხმარება სწავლა დამთავრებულ ქალებს და ეცდება სამსახური უშოვოს.

## უცხოეთი

**აღმოსავლეთის საქმე.** ერთს ფრანგულ გაზეთს ატყობინებენ, რომ საბერძნეთის საზღვრებზედ ჯარების გაგზავნა ოსმალეთმა უკვე დაამთავრაო. ლაშქართა ყველა ბანაკი ღამით არის შეერთებულიო. კორესპოდენტს თავისის თვალით უნახავს, რომ ორ ცხენოსან პოლკისათვის

---

## ფელეტონი

### ნაწყვეტი

ვაი, სირცხვილო, კაცნიც-კი
ძაღლად და კატად ქცეულან,
მტრობა-შურ ღვარძლის ცოფითა
საშინლად გადარეულან:
ამრეზილ ღრენა-ყეფითა
ლანძღვა-გინებას ჩვეულან,
ურთ-ერთის კბენა-წეწვაში
ტალახში ამოთრეულან!..

დ. მაჩხანელი

### უცხოთა შორის

როგორ ატარებს ინგლისელი კვირა დღეს.—ეკკლესია და ღვთის მსახურება.—ქუჩის მქადაგებელნი.—დროს გატარება და უქმე დღეები.—იპსომის დღეი.

კვირა ერთად-ერთი დღეა, როდესაც ინგლისელი, სოფლელია იგი თუ ქალაქელი, ისვენებს და სრულიად არაფერს აკეთებს. ამ დღეს აკრძალულია მუსიკა, ცეკვა, წარმოდგენა თეატრში, ქაღალდის თამაშობა; დუქნები დაკეტილია. კვირა დღეს არ შეიძლება კაცმა არც სტუმარი მიიღოს, არც მუსიკით გაირთოს თავი, არც ქაღალდი ითამაშოს. ასე წარმოიდგინეთ, ბავშვებსაც-კი უკრძალავენ ამ დღეს თამაშობას. ინგლისელს მტკიცედ უჭირავს თავისი სჯული და ჩვეულება. ებრაელებს შაბათობით, თუმცა მუშაობა აკრძალული აქვთ, მაგრამ სიამოვნებას ვერავინ დაუშლის. ინგლისელი კვირა დღეს სიამოვნებასაც-კი ერიდება.

კვირა დილით ყველა ინგლისელი ეკკლესიაში მიეშურება და თან მიაქვს წიგნები: დაბადება, ლოცვანი და საეკკლესიო საგალობელთა წიგნი. ეკკლესიები ყველგან ბევრია. დილით კიდევ ხალხს შეხვდება კაცი ქუჩებში—ეკკლესიაში მიდიან, წირვის შემდეგ-კი ქუჩები სულ ერთიანად დაცალიერდება. ნაშუადღევის ორ საათამდე რკინის გზის მატარებლებიც-კი არ დადიან. ფოსტა დაკეტილია: თუ გნებავთ, ფოსტის ყუთში წერილი ჩააგდეთ, მაგრამ დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ, რომ მეორე დღემდე ხელს არავინ მოჰკიდებს. თუ უცხოელმა კაცმა ეს ჩვეულება არ იცის ინგლისელებისა და შაბათსვე არ იყიდა მწვანილი, ხორცი და პური, მშიერი დარჩება. რავალ ოჯახში სადილს წინა დღითა ამზადებენ და კვირა დღეს ცივს საჭმელს, სჭამენ. საღამომდე ქუჩაში მუსიკის ხმა არ ისმის, გაზეთებიც-კი არ გამოდის, გარდა სამი-ოთხისა, რომელიც საგანგებოდ კვირა-დღისთვის იბეჭდება. თუ ვისმე ძლიერ საჭირო და აუცილებელი საქმე აქვს და სადმე უნდა წავიდეს, ის თავ-ჩაღუნული მიდის, ნაღვლიანის სახით, თითქოს ამით ყველას უნდა დაანახვოს,—რა ვქნა, მეც ძლიერა ვსწუხვარ, რომ გარემოებამ მაიძულა დღევანდელ დღეს სახლიდგან გამოსვლაო.

დილით ყოველი ინგლისელი მოვალეა წავიდეს ეკკლესიაში, მოისმინოს ქადაგება და მერე მთელი დღე გაატაროს დაბადების კითხვაში და სულის საცხონებელ სჯა-ბაასში. ამ ჩვეულებას ყველა ინგლისელი მტკიცედ მისდევს—კეთილ-შობილი და მუშა, მდიდარი და ღარიბი, ნასწავლი და უსწავლელი.

ინგლისის ეკკლესია ძლიერ სადად არის მორთული. ხატი არსადა ჰსჩანს, რადგანაც, როგორც წეღან მოგახსენეთ, ინგლისელს ხატი არა სწამს; საკურთხეველში მხოლოდ ათი მცნებაა დაწერილი, ოქროს ასოებით. ეკკლესიაში სკამებია ისე დაწყობილი, რომ კაცი კათედრასა ჰხედავდეს. ჯერ ეს ამტკიცებს, რომ ინგლისის ეკკლესიაში წირვას მარტო ქადაგება შეადგენს.

იქაურ მღვდლის სამოსელი სულ არა ჰგავს ჩვენის მღვდლის სამოსელს. ინგლისელი მღვდელი თავისს ჩვეულებრივ ტანთ-საცმელს ზევით, სერთუკზედ თეთრს სამოსელს გადაიცვამს ხოლმე, ადის კათედრაზედ და წირვა იწყება. მლოცველნი კითხულობენ დაბადებას და ლოცვებსა ჰგალობენ. ამ დროს ეკკლესიაში მუსიკა უკრავს. ინგლისელს სახეზედ ვერ შეატყობთ, ლოცულობსო. მხოლოდ დინჯად და მშვიდად სდგას ეკკლესიაში, როგორც წმიდა ადგილს შეეფერება.

კვირა დღეს მოედანზედ 10—20 კაცი შეგროვდება ხოლმე და ლოცვებსა ჰგალობენ. სადმე ჭიშკართან ჰზის ვიღაც კაცი, თვალები დაუხუჭავს და ჰგალობს. ცოტა მოშორებით მეორე კაცი რაღასაც ჰქადაგებს. მესამეს ერთს ხელში ქუდი უჭირავს, იღლიაში ჰოლგა აქვს ამოჩრილი, მეორე ხელში დაბადება უჭირავს და ხალხს უკითხავს. მეოთხე სკამზედ ასულა და ჰყვირის: „თქვენ ყოველ-დღე უწყალოდ გამუშავებენ, ქარხნის პატრონი თქვენის შრომითა მდიდრდება და თქვენვე ზიზღით გიყურებს, რადა? იმიტომ, რომ მრგვალი ქუდი არა გხურავთ, ხელთათმანები და გახამებული პერანგი არ გაცვიათ... შენ ჯენტლმენი არა ხარო, გეუბნებიან და ეს საკმარისია რომ ეზიზღებოდეთ... ღმერთისათვის ყველა თანასწორია: ჯენტლმენი, ლორდი და ხელოსანი. ღმერთს მხოლოდ მშრომელი კაცი უყვარს და არა მგონია, რომ ლორდი ხელოსანზედ მეტსა შრომობდეს.“ „მართალია,“—ჰყვირის ვიღაცა. ხშირად ქუჩაში თავს მოიყრის რამდენიმე ქალი და კაცი და ჰგალობენ. უეცრად ერთი მათგანი მოიხდის ქუდსა, გააწვდენს ხელებს საზარლადა ჰყვირის: „მზადა ხართ? სიკვდილი მოდის! აგერ აქ არის, ახლოა! მზადა ხართ-მეთქი, თუ არა?“ ხალხი მდუმარებით და მოწიწებით ყურს უგდებს. მიზეზი ის არის, რომ ინგლისელნი დიდს პატივსა სცემენ ხალხის კრებას, მიუხედავად იმისა, ქუჩაში მოხდება იგი, თუ დარბაზში.

აი კიდევ ერთი მქადაგებელი; ლოთობის საწინააღმდეგოთ დაარსებულ საზოგადოების აგენტი გახლავთ. აგერ ერთი ხელოსანი კაცი დაინახა, ძველის ტანისამოსით, შეზარხოშებული. „შენ, ეი,—უყვირის აგენტი,—შენ ყოველ-დღე მედუქნესთან მიგაქვს შრომითა და ოფლით ნაშოვნი ფული, საჭმელს არა სჭამ რიგიანად, შვილები მშივრები გყავან, მედუქნე-კი შენის ფულით ეხლა მშვენიერს მწვადს შეექცევა. აბა მიყურე, მე თბილი ტანთ-საცმელი მაცვია. არა მგონია, რომ შენზედ მეტი მქონდეს ჯამაგირი. მე სიამოვნებით მივალ დღეს ჩემს სახლში. იქ დამიხვდებიან: მხიარული ცოლი, მხიარული შვილები და კარგი სადი-

ნალარა დაუკრავთ და ისინი ცხრა წუთის განმაავლობაში ფეხზედ დამდგარან და საომრად მომზადებულან. მხედრობას ცხენები ძლიერ კარგი ჰყავსო, განაგრძობს კორესპოდენტი. თუმცა ბანაკიდგან ზღვა მოშორებით არის, მაგრამ სურსათი დაუბრკოლებლად გადააქვთო; ისე რომ 100,000 კაცის საკმარისი სურსათი ორის კვირის განმავლობაში მზად ექმნებათო. ოსმალეთის მხრივ საზღვრების მახლობლად მცხოვრებ ბერძენთ ოსმალეთის ჯარის-კაცნი ცუდად არ ეპყრობიან, ისე რომ ბერძნის ქალები ქუჩებში თავისუფლად დადიან და საბერძნეთის საკონსულოზედ საბერძნეთის დროშაა გაშლილი და შეურაცხებას არავინ აყენებსო.

— ათინის მკვიდრთა შესახებ გაზეთები შემდეგს ცნობებს იუწყებიან: დელიანისის სამინისტრო სწორედ რომ ორ ცეცხლ შუაა. იმის ნაცვლად, რომ იგი ხალხს ხელმძღვანელობდეს, იძულებულია, ხალხის სურვილს აჰყვესო. ისიც დიდ ღირსებად უნდა ჩაეთვალოს სამინისტროს, რომ, როგორც იქნა, იქამდის ხალხი დაიმაგრა! ჯარის-კაცნი დიდად მორჩილი და პატივის-მცემელნიც რომ იყვნენ სამინისტროსი, სულ ერთია, ამ ჟამად ათინაში მეციხოვნე ჯარი თითქმის სრულიად არ არისო. პოლიციის უფროსი პოლკოვნიკი ბაირაქტერისი ძლიერ ყოჩაღი კაცია და დიდად მხნეც, ჟანდარმებიც ყოჩაღები არიან, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ყოველს ამას, როცა დიდად მოხუცებულთაგან მოკიდებული უკანასკნელ მოსწავლე ბავშვამდის ყველა შეთოფ-იარაღებულია. მთავრობამ საომარ იარაღის ქუჩებში გაყიდვა აღკრძალა, მაგრამ მაღაზიებში მაინც ყველა ჰყიდულობსო. ამ დღეებში ერთს გემს იარაღს მოელიან, რომელიც მცხოვრებლებმა მოტანამდის უკვე იყიდეს და იმის გარდა კიდევ დაიბარეს საზღვარ-გარეთიდგან იარაღიო. გაზეთებს გაცხარებული სჯა-ბაასი აქვთ მთავრობის მიერ სამოქალაქო მილიციის შედგენის შესახებაო. აზრად აქვს ამ ჯარში 32—50 წლის კაცები ჩასწერონო. ოპოზიცია ამ ჯარის შედგენას ეჭვის თვალით უცქერის, იმ აზრისა არის, რომ სამინისტროს ეს ჯარი იმისთვის უნდა, რომ ხალხის სურვილის წინააღმდეგ ძალ-მომრეობა იხმაროსო.

---

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„ლუკმა პურის ამბავი“ მასსესი, თარგმანი ნ. ავალიშვილისა.

(დასასრული *)

ამ შეცდომების გარდა, ქართულ თარგმანში არის ზოგიერთი ისეთი შეცდომაც, რომლებიც, ჩემის აზრით, მთარგმნელს უნდა მოსვლოდეს. ამას დასამტკიცებლად მე მივმართავ რუსულ თარგმანს, რადგანაც ფრანგული დედანი ხელთ არა მაქვს.

| | |
|---|---|
| 52 გვ.: მსწავლულებმა გამოიკვლიეს და იპოვეს იმაში (კუჭის წვენში) ერთი ნივთიერება, კუჭისთვის ფრიად სასარგებლო და საჭირო. ეს ნივთიერება არის რძე. | Послѣ тщательныхъ изслѣдованій ученые нашли въ ней вещество, также полезное и дѣятельное, находящееся въ молокѣ. |

ქართულის თარგმანის აზრით, კუჭის წვენში არის რძე, რუსული თარგმანით-კი კუჭის წვენში არის ისეთი ნივთიერება, რომელიც რძეშიაც მოიპოვება. კუჭის წვენში რძე არ არის, არამედ ზოგიერთის მკვლევარის აზრით არის რძის სიმჟავე, რომელიც რძეშიაც მოიპოვება. ამგვარად რუსულის თარგმანის აზრი მართალია, ქართულისა-კი შემცდარი და, რადგანაც ორივე ერთისა და იმავე დედანის თარგმანს წარმოადგენს, ამიტომ, ჩემის აზრით, ეს შეცდომა ქართველ მთარგმნელს უნდა ეკუთვნოდეს და არა მასსეს.

| | |
|---|---|
| 95 გვ.: „ჩვენი სისხლი ყველა ადგილიდგან არ იღებს თავისთვის მასალას. მასალა ემლევა იმას მხოლოდ ბეწვური მილების ბოლო ნაწილებიდგან“. | „Только въ самыхъ крайнихъ волосныхъ сосудахъ управляющій нашъ (кровь) принимается за раздачу своихъ запасовъ“. |

ქართულის თარგმანის აზრით ჩვენი სისხლი მხოლოდ ბეწვურის მილებიდგან იღებს მასალას, რუსულის თარგმანის აზრით-კი ჩვენი სისხლი მხოლოდ ბეწვურ მილებში დაარიგებს ხოლმე მოტანილს მასალას. რადგანაც ქართულის თარგმანის აზრი ძალიან შემცდარია, რუსულისა-კი სრული ჭეშმარიტებაა, ამიტომ ამ შეცდომის შესახებაც იგივე მეთქმის, რაც ზემოდა ვთქვი.

| | |
|---|---|
| 192 გვ.: „მე წინადვე დავისახელეთ ზურგის ხერხემალი, როცა აორტაზედ ანუ უმთავრეს არტერიაზედ ვლაპარაკობდით. მე არ მითქვამს მაშინ, რომ არტერიას ხერხემალი იფარავს, რადგანაც ხერხემლის გაყოლიებაზედ ის ღრმად არის ჩამალული ხორცში. ამაზედ(?) თქვენ მალე დარწმუნდებით, თუ ხერხემალთან ხელს დაიდებთ ზურგზედ“. | „Я упоминалъ уже о позвоночномъ хребтѣ, говоря объ аортѣ или главной артеріи, для которой онъ служитъ защитой, и даже еслибъ я не сказалъ ни слова объ этомъ, то поднеся руку къ спинѣ, вы сейчасъ могли бы узнать что это такое“. |

ქართულის თარგმანის აზრით ხერხემალთან ზურგზედ რომ ხელი დაიდოთ, დარწმუნდებით, რომ აორტა ღრმად არის ჩამალული ხორცში ხერხემლის გაყოლებაზედ. ეს-კი შეცდომაა, რადგანაც ხერხემალზედ ათას ჯერაც რომ ისვათ ხელი, აორტას ვერც მიაგნებთ, ვერც დარწმუნდებით ვერაფერს, იმიტომ-რომ აორტა შიგნით არის. რუსულის თარგმანის აზრით-კი ზურგზედ რომ ხელი დაიდოთ, ხერხემალს შეხვდებით. აშკარაა, ეს ადგილი ქართველ მთარგმნელს გაუგებრად აქვს გადმოთარგმნილი.

საზოგადოდ წიგნი კარგისა და ადვილის ენით არის ნათარგმნი. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რამდენად ძნელია რომელისამე სამეცნიერო წიგნის ქართულად გადმოთარგმნა ან დაწერა, ბ-ნი ავალიშვილი დახელოვნებულ მთარგმნელად უნდა აღვიაროთ და ვუსურვოთ, ჩვენი ღარიბი სამეცნიერო წიგნთ-საცავი გაამდიდრებინოს. ჩვენთვის დიდი ყურადღების ღირსია ის ტერმინები, რომლებსაც თარგმანში შევხვდებით. აქ არის:

1) ქიმიური ტერმინები: ნახშირბადი, მჟავბადი, წყალბადი, ნახშირმჟავეტი ან ნახშირის სიმჟავე, ლურჯბადი, ლურჯოვანი სიმჟავე, ნავთმნათი. ჩემის აზრით, ამ ტერმინებს სჯობია: ნახშირბადი, მჟავბადი, წყალბადი, ნახშირმჟავეტი და ნახშირის სიმჟავე ერთსა და იმავე ნივთიერებას არ დაერქმის; სჯობია, ნახშირმჟავეტი ვუწოდოთ углекислота—$co_2$-ს, ხოლო ნახშირის სიმჟავე угольная кислота—$co_3H_2$-ს. ლურჯბადი და ლურჯოვანი სიმჟავე არ გამოდგება, არც ნავთმნათი; უკეთესი იქნება, ეს ტერმინები ისე ვიხმაროთ, როგორც ყველა განათლებული ერი ხმარობს: ციანი, ციანის სიმჟავე და ფოსფორი. ჩემის აზრით, საჭირო არ არის იმ ტერმინების გადმოთარგმნა, რომელსაც ყველა ერი ერთნაირად ჰხმარობს, ხოლო თუ ქართულში უკვე არის შესაფერი სახელი და ხალხმა იცის, მაშინ, რასაკვირველია, ის უნდა ვიხმაროთ.

2) ანატომიური ტერმინები: კუჭის ქვეშეთი ზღმურდლი, თორმეტ თითა წელი, სქელი წელი, გულის ბუდე (грудная клѣтка), მუცლის ბუდე, გულ-მუცლის ზღუდე, გულის ნავადული (buctus thoracicus), პოჭოჭიკი— brocesus condiloideus maxilloe interioris, გულის კოლოფი (грудная клѣдка), ყანყრატოს ტოტი—бронхъ, საყლაპავი—глотка, სასაჭმლე ყელი—მილი—пищеводъ, ყანყრატო—гортань, სასულე—дыхательное горло, კუჭის ნაწილები: ფაშვი, სახელი, წიგნარა და ღრიტა, გულის ბუდე—желудочекъ сердца, გულის ჯიბე ან უბე—предсердье, სარქველები—клапаны.

რაც შეეხება ანატომიურ ტერმინებს, მე მგონია, ხალხს რომ მივმართოთ, უკეთეს ტერმინებს მოგვცემს ზოგის მაგიერ. ბ-ნი ავალიშვილი желудочекъ-საც და грудная клѣдка-საც ორივეს გულის ბუდეს უწოდებს, თუმცა მეორე ადგას грудная клѣдка-ს გულის კოლოფს არქმევს. желудочекъ-ს უნდა დავარქვათ გულის კოჭობი, როგორც იმერეთში ჰხმარობენ, грудная клѣдка-ს კი გულფილტვების კოლოფი. სქელ წელს—სხვილი წელი სჯობია, ყანყრატოს ტოტს-კი სასულეს ან ხორხის ტოტი, რადგანაც ყანყრატო— дыхательное горло-ს არა ჰნიშნავს.

3) ფიზიოლოგიური ტერმინები: სისხლის მოძრაობის დიდი წრე, სისხლის მოძრაობის პატარა წრე, ბეწვური მილები, ნახვრეტი—alveola, სოსხალი—кровяное тѣльце, რძეწვენი—млечный сокъ chilus.

4) ზოოლოგიური: მწერიჭამიები, მღრღნელნი, სქელტყავიანები, მტოხნავნი, გუდიანები, უკბილოები, მიწყულნი, იხტიზაური, ჭიანჭველა ჭამია, აბჯროსანი, ზარმაცი, მსუნთხავი (ხამელეონი), ღორწოვანები ანუ რბილტანიანი, რძით მკვებავნი, ხელფრთოვანნი, ხორცის მჭამელნი ანუ მტაცებელნი, ვეშაპის გვარნი, ქვეწარმავალნი ანუ მცურავნი, ხავსმტყავიანები, ცხოველმცენარენი და სხვ.

როგორც ფიზიოლოგიური, აგრეთვე ზოოლოგიური ტერმინები გამოდგება, მხოლოდ რძით მკვებავს მუძუ...

---

*) იხ. „ივერია“ № 65.

---

ლი. შენ-კი წყევა-კრულვით მიუახლოვდები შენს სახლს: იქ მიგელის, შიმშილი, სიცივე და საყვედური. მერე რადა ხარ შენ ჩემზედ უბედური? იმიტომ, რომ მე მარტო წყალსა ვსვამ. ეს არის მიზეზი ჩემის კეთილდღეობისა!“ ზოგი ამაზედ მიაძახებს: „ჰო და სვი წყალი, რამდენიც გნებავდესო!“ ზოგი-კი აღელდება ამ სიტყვებით და სთხოვს აგენტს, საზოგადოების წევრად ჩამწერეო.

ასე ატარებენ ინგლისელები კვირადღეს, სალამოს ხუთ საათამდე. ხუთის საათის შემდეგ-კი ხალხი გამოიფინება ხოლმე ქუჩაში და მიდის სასეირნოდ.

**

ინგლისელებს ძლიერ უყვართ ნადირობა, დოღი, ცხენოსნობა, ბანაობა, თევზაობა, ბურთაობა, კრიკეტი, ბოქსი, შვილდ-ისრის სროლა და სხვანი.

დოღი ძლიერ უყვართ ინგლისელებს; უყვართ ცხენები და ცხენოსნობა. ახალგაზდა ქალისა და კაცის პირველი ოცნება ის არის, ცხენი მყავდესო; ინგლისელი ქალები ყველანი კარგი ცხენოსნები არიან; კარგს ოჯახს ვერა ჰნახავთ, რომ ცხენი არა ჰყავდეს. ყველას მოსწონს თავისი ცხენი და ამაყობს სხვების წინაშე.

დოღი სხვა-და-სხვა ადგილას იმართება სხვა-და-სხვა დროს. მაგრამ ეპსომისა ანუ დერბის დოღი მართლა რომ შესანიშნავია. დოღი მთელს კვირას გასტანს ხოლმე, მაგრამ უმთავრესი და ღირს-შესანიშნავი დოღი 30 მაისს არის ხოლმე. ეს დღე უქმეთა უქმეა. ამ დღეს დაკეტილია დუქნები, კანტორები, ბანკები და ყოველგვარი სახელმწიფო დაწესებულება; ყველგან მუშაობა შეწყვეტილია.

ეპსომი ლონდონზედ 20 ვერსის მანძილზეა მოშორებული. დოღზედ მიდიან ლონდონიდგან და მახლობელ სოფლებიდგან: მდიდარნი და ღარიბნი, დიდი და პატარა, რკინის გზით, ეტლით, ფეხით. დოღის დროს მთელი გზა ხალხით არის სავსე. მიდიან და სავსე დილიჟნებით მიეზიდებიან ლუდს, სანოვაგეს. ეპსომის უშველებელი მინდორი სულ ხალხით მოიფინება ხოლმე. მთელი ლონდონი აქ მოდის. მინდორში დაცემულია კარვები, ვაჭრობა გაჩაღებულია, ზოგს მაიმუნი დაჰყავს, ზოგი მუსიკას უკრავს, ზოგი მაღაყს გადადის. ყველას სალაპარაკო-კი დღევანდელი დოღია. ერთმანეთს ენაძლევებიან, რომელი ცხენი გაიმარჯვებსო. ზოგი დიდძალ ფულს იგებს, ზოგი მთელს საცხოვრებელს აგებს, საშინელი ყვირილი და ჟრიამული ათის ვერსის მანძილზედ ისმის.

დოღის დროს ყველა ცხენებზედ ლაპარაკობს. თითოეული ცხენი დღეს დიდებული ცხოველია და ეს სიდიადე ბევრს დიდს განსაცდელს უქადის: ზოგს ცხენს დოღის დაწყებამდე მოსწამლავს ხოლმე მტერი. ამიტომ თითოეულს ცხენს ორი-სამი კაცი სდარაჯობს. ვიდრე ცხენს წყალს დაალევინებენ ხოლმე, წყალში თევზს ჩააგდებენ, ხომ არავის მოუწამლავსო.

დოღის დაწყების დროს ამ აუარებელის ხალხის ყურადღება მიქცეულია იმ ადგილს, საიდგანაც დოღი იწყება. ცხენებს ხალხის ჟრიამული აღელვებს და თუ არ კარგი ცხენოსანი, დოღის დაწყებამდე ცხენს ვერ შეიმაგრებს. აი ცხენებიც გამოუშვეს. „მოდიან, მოდიანო!“ —იგრიალებს ეს აუარებელი ხალხი. მთელს თვალგაუწვდენელ მინდორში მარტო ეს სიტყვა გაისმის.

დოღში გასული ცხენები რამდენსამე წამს არა სჩანან. ეს წამები ინგლისელისთვის მთელი საუკუნეა, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც დანაძლევებულია,—ესა და ეს ცხენი აჯობებსო. ხალხი ცოტა ხანს სდუმს „მოვიდნენ, მოვიდნენო!“ —კვლავ იგრიალებს მთელი მინდორი და ყველანი ქუდებს იხდიან. ეს წამი უკანასკნელია. მხოლოდ რამდენიმე ცხენი მოსჩანს. დანარჩენები უკან ჩამორჩნენ. ჯერ ვერც ერთი ვერა სჯობნის. ერთი ცხენი ერთს მტკაველზედ გასცდა სხვებსა. „კეტლდემია!“ —არა, „დუნდია!“ ჰყვირის ხალხი ცხენის სახელს... ასტყდა ტაშის ცემა. ყოველთვის მშვიდი, დარბაისელი ინგლისელი ეხლა მეტად აღელვებულია. სახე აენთება, თვალები უბრწყინავს. აგერ ორი ცხენი თითქმის ერთად მოვიდა დანიშნულ ალაგას. რომელმა აჯობა? ხალხი ყოველ მხრიდგან გაექანება იქითკენ, საიდაც ბოძზედ ნომერი უნდა იყოს გამარჯვებულის ცხენისა; ვერც ლობე და ვერც ჯაჭვი ვერ შეიმაგრებს ეხლა ცნობის მოყვარეობით გატაცებულს ინგლისელს.

გამარჯვებული ცხენი დიდს სახელს მოიპოვებს და გაითქვამს. ცხენის პატრონი მდიდრდება, სულ ცოტა 40—50 ათასს მანათს აიღებს, ხანდახან მეტსაც. ამ დღიდგან სხვაგანაც ეპატიჟებიან დოღზედ და აუარებელს ფულსა ჰხვეტავს. სახელიც ღირს რამე. მთელის ინგლისის ჟურნალ-გაზეთები ჰბეჭდავენ გამარჯვებულ ცხენის სურათს, მისს ბიოგრაფიას და თვით პატრონის სახელს. ცხენის სურათს ათი ათასობით ჰყიდიან ფოტოგრაფები. გამოჩენილი მხატვრები წამლებით ჰხატავენ და ძლიერ ძვირად ჰყიდიან. დოღის მოყვარულნი გამარჯვებულ ცხენის სურათს კაბინეთში ინახვენ. მერმის ბევრი დიდს ნაძლევს დასდებს დოღზედ, კიდევ ეს ცხენი გაიმარჯვებსო.

საკმარისია ქალაქი ნიუმარკეტი ნახოს კაცმა, რომელსაც ცხენების ქალაქს ეძახიან და მაშინ გაიგებს, რა მნიშვნელობა აქვს დოღს ინგლისელისათვის. აქა ჰნახავთ ჟოკეებს, მეჯინიბეებს, ტრენერებს (ცხენის მხედნელთ). ზოგიერთ მდიდარ კაცებს აქ მთელი სასახლეები აქვთ აგებული ცხენებისთვის.

ტრენერი ანუ მეჯინიბე აქ დიდი კაცია. მრავალი მოჯამაგირე, მსახური ჰყავს, მდიდრულად მორთულ სახლში სცხოვრობს. თითოეულს ცხენსაც ცალკე ოთახი აქვს, სუფთა, მაღალი, მარმარილოთი დაფენილ იატაკით. თითო ცხენს რამდენიმე კაცი ჰყავს მოსავლელად მიჩენილი. აქვე ჰნახავთ ცხენისათვის ათასს გვარს ღრუბელს, სავარცხელს, პირსახოცებს და სხვ.

ცხენის დოღის გარდა ინგლისელებს უყვართ სირბილში გაჯიბრება, გაჯიბრება ნავებით, ბურთის თამაშობა, კრიკეტი, ბოქსი (მუშტის კრივი) და სხვანი, მაგრამ იმათ შესახებ შემდეგ განვაგრძობთ საუბარს.

ა. ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწოვარი სჯობია, რადგანაც რძით მკვებავი ჰნიშნავს მხოლოდ იმას, ვინც რძეს აწოვებს, ე. ი. დედალს ცხოველს და მამალს-კი არა; ძუძუმწოვარი-კი ორივეს გამოჰხატავს. ზოგმა შეიძლება ისა სთქვას, რომ ძუძუმწოვარი მარტო ნორჩ-პატარა ცხოველებს აღნიშნავსო, მაგრამ მაინც ეს ტერმინი უფრო სწორე და ფართო მნიშვნელობისაა, ვიდრე რძითმკვებავი.

საზოგადოდ საჭიროა, როგორც ამ ტერმინებს, აგრეთვე სხვებსაც დიდი ყურადღება მივაქციოთ და გამოვირკვიოთ, რომელი გამოდგება და რომელი არა. ხალხში ბევრი კარგი ტერმინებია და, იმათი შეკრება რომ მოვახერხოთ, ჩვენთვის ძალიან დიდი განძი იქნებოდა: მეცნიერება ისეთი იარაღი შეიქმნა, ურომლისოთაც არც ქართველობას, არც რომელსამე სხვა ერს დედამიწის ზურგზედ არსებობა არ შეუძლიან. ამიტომ, თუ ჩვენის თავის მოსპობა არ გვინდა, უნდა ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ, რომ ქართულს ნიადაგზედ მეცნიერება, თუ არ ავაყვაოთ კაფორჯალოთ მაინც და აჰყვავება მომავალ თაობას მივანდოთ, რომელიც, შეიძლება, ჩვენზედ ბეღნიერი გამოდგეს ამ საქმეში. უტერმინებოდ-კი ერთის ნაბიჯის გადადგმაც არ შეიძლება: ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. თუმცა ბევრი იმ აზრის ადგია, რომ ტერმინების „ჩხრეკა-ჩეკა" *) უბრალო და ამაო დროს დაკარგვა არისო, მაგრამ, თუ სხვა ჩვენზედ უფრო განათლებულ ერს არ ჩამოვარდნია ციდგან მზა-მზარეული ტერმინები, მგონია, არც ქართველებს ჩამოგვივარდეს.

ივ. გომართელი

*) ეს ტერმინი მე არ მეკუთვნის.

## ნაკვესი

თეატრში სცენის უკან რეჟისორმა შენიშნა, რომ ერთმა არტისტმა რაღაცა ჩაიდო უბეში, და ჰკითხა:

— ეგ რა არისო?

— დაშნააო! უპასუხა არტისტმა, მაგრამ რეჟისორმა უბოდიშოდ ამოაცალა უბიდგან ღვინით სავსე ბოთლი, გამოსცალა, ბოთლი პატრონსავე დაუბრუნა და თან დასძინა:

— ქარქაში თქვენთვისვე დამიბრუნებიაო.

***

ერთი კარგის გვარიშვილისა, მაგრამ ჯიბე-ცარიელი კაცი შევიდა ერთხელ ბანკის პატრონთან და უთხრა:

— მოწყალეო ხელმწიფეო, თქვენ, რასაკვირველია, გაგიოცდებათ, რომ თუმცა არა მაქვს პატივი თქვენის ცნობისა, მაინც ათს თუმანს გთხოვთ სესხად?

— მოწყალეო ხელმწიფეო, უპასუხა ბანკის პატრონმა: რასაკვირველია, თქვენ უფრო გაგიოცდებათ, რომ თუმცა მაქვს პატივი თქვენის ცნობისა, მაინც გამძლევთ ათს თუმანს სესხადაო.

***

ბერლინის ერთს სასეირო ალაგას დადიოდა, სხვათა შორის, ერთი კუზიანი კაცი. როდესაც მან ჩაუარა ერთს თავ-ცანცარა ყმაწვილ-კაცების გროვას, ერთმა მათგანმა ხმა-მაღლა შენიშნა:

— შეხეთ, შეხეთ, ახალი ეზოპი*) მოდისო!

— დიაღ, მართალი სთქვითო, უპასუხა კუზიანმა: ეზოპი ვარ, რადგან პირუტყვნი ავალაპარაკეო.

*) ეზოპი იგავ-არაკების შესანიშნავი მთხზველი იყო.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

როდის იწყება სიბერე ადამიანისა? ბებერსა და ჭაბუკს კაცს ყველა გაარჩევს. მეგრამ იმის გამოცნობა-კი ძნელია, როდის ეწყობა კაცს სიბერე. ამის ცოდნა-კი მეტად საჭიროა, რადგანაც ადამიანს რომ სიბერე შეეპარება, იმდენს ველარ აიტანს, რაც ახალგაზდობაში აუტანია. მოელი სიცოცხლე ადამიანისა ორ ხანად განიყოფება. ერთი ხანა გაზრდისა და ძალ-ღონის გაძლიერებისაა, მეორე—დაჭკნობისა, ძალ-ღონის დაკლებისა.

ახლად დაბადებული ბავშვი სულ 7—10 გირვანქის სიმძიმეა. ერთის წლის ბავშვი 27—30 გირვანქას იწონავს. შემდეგ, 40 წლამდე თან-და-თან მატულობს, 50 წლამდე არც აკლდება და არც ემატება, მერე თან-და-თან აკლდება წონა. ასე რომ 80 წლამდე თუ იცოცხლა კაცმა, 15 გირვანქა დააკლდება იმ წონას, რომელიც 40 წლისას ჰქონდა. იგივეა სიმაღლის მხრივ 30—35 წლამდე ადამიანი იზრდება. 40 წლამდე არც ემატება სიმაღლე და არც აკლდება, ხოლო 40 წლადგან-კი თან-და-თან აკლდება.

შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის სიბერე მაშინ იწყება, როდესაც მისი სხეული აღარ იზრდება, ე. ი, 35 წლიდგან, თუმცა ზოგიერთნი მეცნიერნი-კი ამტკიცებენ, 35 წლის კაცი ჯერ ისევ ახალგაზდა არისო სიბერე უფრო გვიან იწყებაო.

ჯერ ისევ 30 წლის კაცს ხშირად გამოაჩნდება ხოლმე სიბერის ნიშნები. შუბლზედ და სახეზედ ჭკნაოჭები ეტყობა, კბილები უფუჭდებათ, კუჭი საჭმელს რიგიანად ვერ ინელებს. 40—50 წლებში-კი სიბერე აშკარაა, კბილები თითქმის სულ გაფუჭებულია , თმა გათეთრებული, თვალი აღარ უჭრის, სხვა-და-სხვა ავადმყოფობაც თავს იჩენს.

50—60 წლის კაცი ხომ უფრო დაავადებულია და 70 წელს ვინც გადასცდება ეხლანდელს დროში, ძლიერ მოხუცს ეძახიან. 80 წლამდე ჩვენს დროში ძლიერ ცოტა მიაღწევს ხოლმე. 90 წლამდე 1000 კაცზედ ერთი კაცი მოდის 90 წლისა, ხოლო 100 წლისა—6000 კაცზედ. ეს გახლავთ სიბერის საზოგადო სურათი, მაგრამ ყველა კაცი-კი ასე მალე არა ბერდება. ზოგს ადამიანს 50—60 წლისასაც ჯერ სიბერე არ ეთქმის, ისე ჯან საღია. ამის მიზეზი ან თვით ბუნება და აგებულებაა ადამიანისა ან ზომიერი ცხოვრება.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან)

3 აპრილი

**კონსტანტინეპოლი.** მტკიცდება, რომ მინისტრთა გუშინდელმა საბჭომ გადასწყვიტა, ჯერ ჯარს ნუ გავგზავნით საბერძნეთის საზღვარზედ, ვიდრე საბერძნეთის მუდმივი ჯარი თავს არ დაგვეცემაო.

პორტას მოხსენებით, უკანასკნელ ბრძოლის ველზედ საბერძნეთის მუდმივ ჯარის-კაცთა მრავალი გვამი უპოვნიათ.

**სოფია.** 1 აპრილს საზღვარზედ პარაკლისი იქმნა გარდახდილი მრავალ-ჟამიერით მეფისა და მთავრისათვის. ტიროტში მომხდარ მეჯლისს დაესწრნენ სერბიისა და ბოლგარიის ყველა მინისტრები. სიმიჩმა დ სტოილოვმა სიტყვა წარმოსთქვეს დ განაცხადეს, რომ მხოლოდ ძმური კავშირი იქმნება თავმდები ამ ორის ერის ძლიერებისა და წარმატებისა. სოფიის ქალაქის მოურავმა წარმოსთქვა სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა. სერბები და ბოლგარელნი ერთმანერთს გულ-მხურვალედ გამოეთხოვნენ.

4 აპრილი

**პეტერბურგი.** ნავოსნობა დაიწყო.

**ბერლინი.** დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინა მარია პავლეს ასული მოვიდნენ აქა და დღესვე მიდიან ლუდვიგსლუსტში. იმპერატორი მოვიდა რუსეთის საელჩოში ერათა სალამი მიეცა დიდის მთავარის ვლადიმირ ალექსანდრეს ძისათვის.

**ვენა.** აქ გავრცელებული ხმა, ვითომც კონსტანტინეპოლში სამინისტრო კრიზისი დამდგარიყოს, გამოიწვია იმ აზრთა სხვა-და-სხვაობამ, რომელმაც იჩინა თავი მინისტრთა საბჭოში, სადაც უმეტესობა იმას ამბობდა, რომ საბერძნეთს ომი გამოვუცხადოთო, ხოლო სულთანი-კი არ იყო თანახმა. ბოლოს იმ გზას დაადგა მინისტრთა საბჭო, რომ ომი გამოვუცხადოთ მაშინვე საბერძნეთს, თუ ბერძნები ხელ-მეორედ დაგვესხნენ თავს და ამ საქმეში საბერძნეთის მუდმივმა ჯარმაც მიიღო მონაწილეობაო.

**ლონდონი.** „Times"-ს დეპეშით აუწყებენ, რომ ორშაბათს ბერძენთა ბრბონი, რიცხვით 1,000 კაცამდე, კვლავ გადაერივნენ საზღვარს იქით გრევენთან და თავს დაეცნენ ოსმალებს. ბრძოლის შემდეგ ბერძნები უკუ-ქცეულ იქმნენ და50 კაცით დაზარალდნენო.

**კონსტანტინეპოლი.** მცირე-რიცხოვანმა ბერძენთა ბრბოებმა მაგრად მოიკიდეს ფეხი პინდაში. გუბერნატორები და ელჩები თავისს მოხსენებაში აღნიშნავენ, რომ ალბანელთა შეიარაღებას დიდი საფრთხე მოსდევსო.

მსოფლიო პატრიარქის არჩევანის შემდეგ მოწინაალმდეგე დასმა დიდი ალიაქოთი ასტეხა, რომელიც პოლიციის შემწეობით იქმნა დაწყნარებული.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ჩემის მრევლისა და ჩემის მხრივ უგულითადესს მადლობას ვუცხადებ იმათ, რომელთაც ჩემდამო რწმუნებულს სოფელს ხიბულას (ზუგდიდის მაზრაშია) მთავარ-ანგელოზის ეკკლესიას შემოსწირეს: ქ. ფოთს მოვაჭრე შარვან სიმონის ძე ცხატაიამ ბარძიმ-ფეშხუმი თავისის მოწყობილებით, სანაწილით და დაფარნებით, 50 მანეთად ღირებული. დიმიტრი და ივანე ლეონის ძე ქარცხიებმა ორი ღვთის-მშობლის ხატი, 27 მან. ღირებული, პავლე მიქაძემ ერთი ცხრა ღერიანი კანდელი, 35 მან. ღირებული. ალექსი ტუღუნიას ძე ვარდიამ ერთი ღვთის-მშობელის ფაის ხატი, 3 მან. ღირებული. ანტონ ალექსის ძე ვარდიამ ერთი ფრაჟეს მაღალი სასანთლე, 9 მან. ღირებული. ქარუა ხუხუს ძე ქარცხიამ ერთი ღვთის-მშობლის ფაის ხატი, 3 მან. ღირებული. დიმიტრი ზარანდიამ ერთი წმიდის გიორგის ფაის ხატი, 2 მან. 50 კაპ. ღირებული. ფარნა ქარცხიას მეუღლა ნატალია დავითაიას ასულმა ტრაპეზს წინ დასადგმელი შვიდ-ღერიანი სასანთლე, 3 მ. ღირებული. ირინე ქუონიას ასულმა ერთი ღვთის-მშობლის ხატი, 3 მან. ღირებული ივლიტე გოშუვარა ქიქიხიას ასულმა ერთი ხელი სამღვდელო შესამოსელი 30 მან. ღირებული.

მღვდელი სოლომონ გრძუა


## განცხადებანი

თამარის სურათი ატლასზე შეკერილი ბალიშებისთვის . . . . . . . 2 მ. კ.

აბაჟური ექვს ცნობილ მწერალთა სურათებით . . . . . . . . 3 „ „

აბრეშუმის ცხვირსახოცები იმავე მწერალთა სურათებით . . . . . 60 კ.—80 კ.

წიგნებში ჩასადები ლენტი . . . . . . . 25 კ.—30 კ.

ვინც ბევრს იყიდის, იმას იაფად დაუთმობა. ვისაც ჰსურს თავისი სურათი ამოაკერინოს, შეუძლიან მიჰმართოს ამ ადრესით: ტფილისი, საპიორის ქუჩა, სახლი № 12, მურადოვისა, ა. როდიონოვისას. (13)

## „ველისციხე"

მომავალ დღესასწაულებისთვის **საუკეთესო კახური** ღვინოები მივიღე. ვედრო 2 მან. 40 კაპ. ვიდრე 12 მან., თუნგი 80 კაპ. ვიდრე 4 მან. და ბოთლი 16 კაპ. ვიდრე 1 მან.

სარდაფი იმყოფება პუშკინის ქუჩაზედ, ტერ-ასატუროვის შენობაში.

მიხეილ გიორგის ძე ტარასოვი

(5—93—1)

**1897. ГОДЪ СЕДМОЙ. 1897.**

**ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1897 ГОДЪ**

на ежемѣсячный литературно-историческій журналъ

## „ВѢСТНИКЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ"

Въ 1897 году „ВѢСТНИКЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ" будетъ издаваться въ своемъ обичномъобъемѣ. Всоставъ журнала войдутъ: Классическія произведенія.—Романы, повѣсти и расказы.—Маленькая юмористика.—По вопросамъ общественнымъ и нравственнымъ.—Критическіе этюды.—Новое о знаменитыхъ писателяхъ.—Россія заграницей.—Научныя новости.—Историческіе очерки, разсказы и анекдоты —Изъ заграничной хроники.—Стихотворенія.—Мелочи.

**Съ января 1897 года въ приложеніи будетъ печататься историко-литературная монографія**

**ГЕОРГА БРАНДЕСА**

## ВИЛЛІАМЪ ШЕКСПИРЪ

Исторія его жизни и дѣятельности по его твореніямъ и на оснаваніи критическаго изслѣдованія наилучшихъ источниковъ Шекспирской литературы. *Въ трехъ частяхъ своего труда Георгъ Брандесъ прослѣживаетъ жизнь и творчество Шекспира въ условіяхъ его времени изъ года въ годъ, отъ сочиненія къ сочиненію, и возсоздаетъ яркій образъ этого величайшаго изъ геніевъ всемірной литературы.*

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА 1897 ГОДЪ ПРЕЖНЯЯ:**

съ доставкою и пересылкою **4 р** | без доставки и пересылки **3 р. 50 к.**

**подписка на 1896 годъ продолжается по той же цѣнѣ.**

**подписка принимается:** въ С.-Петербургѣ — въ Конторѣ Редакціи, ГОСТИНЫЙ ДВОРЪ, Зеркальная линія, №63, магазинъ ПАНТЕЛЕЕВА (противъ Пажескаго Корпуса); въ Москвѣ — въ Конторѣ Н. Н ПЕЧКОВСКОЙ, Петровскія линіи, а гг. иногородніе благоволятъ адресоваться въ Редакцію, С.-Петербургъ, Верейская ул., № 16, собств.

Редакторъ Ѳ. И. Булгаковъ Издатель Г. Ѳ. Пантелеевъ

„Вѣстникъ Иностранной Литературы" за 1891, 1892, 1894, и 1895 гг. продается по 4 р. годъ съ пересылкою до всѣхъ станцій желѣзныхъ дорогъ товаровъ малой скорости, а съ пересылкою по почтѣ за каждый годъ на 2 рубля дороже.

## ТАМЪ ЖЕ ПРИНИМАЕТСЯ ПОДПИСКА

НА 144 ТОМА СОЧИНЕНІЙ СЛѢДУЮЩИХЪ ПИСАТЕЛЕЙ:

Э. Зола, Бальзака, Флобера, Ж. Занда, Диккенса, Вальтеръ Скотта Брет-Гарта, М. твэна, Этгара Поэ, Шпильгагена, Гофмана и Эберса.

**ВСѢ 144 ТОМА** будутъ изданы въ теченіе трехъ лѣтъ, по 48 том. въ годъ, т. е. по 4 тома ежемѣсячно, по 320 стран. въ каждомъ томѣ въ 8 д. листа, четкимъ шрифтомъ. Форматъ и шрифтъ – собранія сочиненій Гюи де Мопасана.

*По 15 Ноября 1896 г. вышло 48 томовъ*

**ЦѢНА ТОЛЬКО ПО ПОДПИСКѢ:**

**ЗА ВСѢ 144 ТОМА** безъ доставки **36 Р.**, съ доставкою въ Петербургѣ и съ пересылк. въ друг. города **48 Р.**

разсрочка допускается на слѣдующихъ основаніяхъ:

**Подписчикамъ безъ доставки:** при подпискѣ вносится 15 руб., къ 15 декабря 1896 г. 3 р., а затѣмъ каждые три мѣсяца, считая съ 15 декабря 1896 г., вносится 3 р.

**Подписчикамъ съ доставкой и пересылкой:** при подпискѣ вносится 20 руб., къ 15 декабря 1896 г. 4 р., а затѣмъ каждые три мѣсяца, считая съ 15 декабря 1896 г., вносится по 4 р.

*По этой цѣнѣ подписка принимается только* **на 5000 экземпляровъ**, *а затѣмъ* *ПОДПИСНАЯ ЦѢНА ПОВЫСИТСЯ. о чемъ будетъ объявлено своевременно.*

*ТАМЪ ЖЕ можно получить СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ:*

ГЮИ ДЕ МОПАСАНА. 2-е изданіе. 12 томовъ. Цѣна 6 р., съ пересылкой 7 р. 50 к.

АЛ. ДОДЕ. 12 томовъ Цѣна 6 р., съ пересылкой 7 р. 50 к.

В. ТЕККЕРЕЯ. 12 томовъ. Цѣна 6 р., съ пересылкой 7 р. 50 к.

ИЗЯЩНЫЕ КОЛЕНКОРОВЫЕ ПЕРЕПЛЕТЫ:

Цѣна 6 переплотовъ на 12 томовъ А. Додэ 1 р. 80 к., на 12 том. В. Теккерея 1 р. 80 к. и на 12 том. Гюи до Мопосана 1 р. 80 к. Перес. 6 перепл. за 3 ф,, по разстояніямъ. **АДРЕСОВАТЬСЯ:** въ редакцію „Вѣстника Иностраьной Литературы", Спб., Верейская, 16 или въ контору, Гостиный дворъ, магазинъ П. Ѳ, Пантелеева, № 63.

(12—4


Дозволено цензурою, Тифлисъ 3-го Апрѣля 1897 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.